დანართი №6

მეან-ექთანი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2016 წელი

1.პროფესიის დასახელება (ქართულად): მეან-ექთანი

2. პროფესიის დასახელება (ინგლისურად): Midwife

3. პროფესიული სტანდარტის კოდი : 090554

4. პროფესიულისტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი: 09106 - ს

5. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 2222

6. პროფესიის აღწერა:

მეან-ექთანი არის სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ქალთა კონსულტაციაში, სამშობიარო სახლში, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრში.

მეან-ექთნის მოვალეობაა ორსულთა სათანადო მომსახურება, მოვლა, მშობიარის მიღება, მასზე მეთვალყურეობა/დაკვირვება, მისი ფსიქოპროფილაქტიკური მომზადება, ფიზიოლოგიური მშობიარობის მიღება და მშობიარისთვის ზრუნვა მშობიარობის სამივე პერიოდის დასრულებიდან მშობიარობის შემდგომი ადრეული პერიოდის ჩათვლით, ზრუნვა ქალის ჯანმრთელობაზე. მას შეუძლია სხვათა სამუშაოს მენეჯმენტი და ზედამხედველობა გაუთვალისწინებელ პირობებში, საკუთარი და სხვათა მუშაობის შეფასება და განვითარება.

7. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

მეან- ექთანს სამუშაოს შესრულება უწევს სხვადასხვა დაწესებულებაში და მრავალფეროვან სოციუმში, რიგ შემთვევაში სტრესულ გარემოში.

მისი დასაქმების შესაძლებლობებია:

სამშობიარო სახლი, ქალთა კონსულტაცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი.

8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული.

9. კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით: მეხუთე

10. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	**პაციენტის მართვაში მონაწილეობა**	1.1. ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას 1.2. გეგმავს საექთნო ჩარევებს 1.3. განახორციელებს საექთნო ჩარევებს 1.4. მონიტორინგს უწევს საექთნო ჩარევების შედეგებს 1.5. შეიმუშვებს მოვლის გეგმას 1.6. ახდენს შეფასების შედეგების

		დოკუმენტირებას 1.7. ამყარებს კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან
2.	მშობიარობის მართვაში მონაწილეობა	2.1. მართავს მშობიარობის პირველ პერიოდს 2.2. მართავს მშობიარობის მეორე პერიოდს 2.3. მართავს მშობიარობის მესამე პერიოდს 2.4. იცავს ასეპტიკასა და ანტისეპტიკას
3.	პათოლოგიურად მიმდინარე ორსულობისა და მშობიარობის მართვაში მონაწილეობა	3.1. ადგენს პათოლოგიურ ორსულობას 3.2. ადგენს ნაყოფის არასწორ მდებარეობას 3.3. მართავს სამშობიარო მოქმედებების პათოლოგიებს ექიმთან ერთად 3.4. უწევს ექიმს სათანადო დახმარებას დედისა და ნაყოფის ტრავმატიზმის შემთხვევაში 3.5. უწევს ექიმს დახმარებას სისხლდენის შემთხვევაში
4.	ადრეული ლოგინობის ხანის მართვაში მონაწილეობა	4.1. აწარმოებს სამშობიარო გზების ინვოლუციის მონიტორინგს 4.2. განსაზღვრავს საშვილოსნოს კუმშვადობას 4.3. აწარმოებს ადრეული ლოგინობის ხანის მონიტორინგს 4.4. აწარმოებს სისხლის დანაკარგისა და სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგს
5.	მოვლა ლოგინობის ხანაში	5.1. მართავს ლოგინობის პირველ პერიოდს 5.2. აფასებს სარძევე ჯირკვლის ფუნქციას 5.3. ახდენს ლაქტაციის გართულებების პრევენციას 5.4. ახდენს მოსალოდნელი ინფექციების პრევენციას
6.	ანტენატალური მოვლა	6.1. მეთვალყურეობას უწევს ქალს ფიზიოლოგიური ორსულობის დროს 6.2. უწევს ფსიქოლოგიურ თანადგომას ორსულსა და მისი ოჯახის წევრებს 6.3. დროულად გამოავლენს ორსულთა პათოლოგიებს 6.4. მართავს ორსულთა პათოლოგიებს ექიმთან ერთად 6.5. ახდენს წყვილების კონსულტირებას ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით
7.	პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა	7.1. ეცნობა უახლეს პროფესიულ ტექნოლოგიებს 7.2. აფასებს საკუთარ კომპეტენციებს ცოდნასა და უნარებს 7.3. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას 7.4. ეცნობა პროფესიულ სიახლეებს (პროფესიული ლიტერატურის ანალიზი, ინტერნეტრესურსები, პროფესიული გაერთიანებების აქტივობები და სხვა) 7.5.ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, ტრენინგ-კურსები და სხვ.)

11. პიროვნული თვისებები:

- პასუხისმგებლობიანი
- ორგანიზებული
- პუნქტუალური

12. ხელსაწყოები, დანადგარები, მასალები:

კოხერები, მაკრატელი, კორცანგი, ფანჯრიანი ყელის დამჭერი, ზედა და ქვედა სარკეები, ქირურგიული და ანატომიური პინცეტი, ნემსდამჭერი, კოვზი, დოლბანდი, ბამბა, ბინტი, საიდენტიფიკაციო სამაჯური, სპირტი, მედიკამენტები, ხსნარები, საფენები, პამპერსები, სველი ხელსახოცები, ერთჯერადი პაკეტი, ახალშობილის ტანსაცმელი, ქვეშსაფენები, ერთჯერადი ხალათები, პერანგი, ნიღაბი, ქუდი, ხელთათმანი, შარდის ბუშტის კათეტერი, შპრიცები, ვენის კათეტერი, ფიზიოლოგიური ხსნარი, სისტემა, საკერავი მასალა, ანტიბიოტიკები, ანტიკოაგულანტები, უტეროტონიკები, საანესთეზიო საშუალებები, ტრიკოლიტიკები, ჟანგბადის ნიღბები, ერთჯერადი ბალონი, ამოსაქაჩი ზონდი, თვალის მალამო, ლეიკოპლასტირი, ელასტიური ბინტი, შარდის მიმღები რეზერვუარი, თხევადი საპონი, პოლიეთილენის ერთჯერადი პარკები.

სტეტოსკოპი, ქალის კარდიმონიტორი, კარდიოტოკოლიტი, შტატივი, ბავშვის მაგიდა, ფუნქციური საწოლი, კიუვეზი, ხელსაწყოების მაგიდა, ტუმბო, ახლაშობილის საწოლი, ეტლი, ჯამები, თასები, თერმომეტრი, საათი, ოთახის თერმომეტრი, სასწორი, სანტიმეტრი, საქაჩი, ლინეომატი, კონტეინერი ABC კლასის ნარჩენებისათვის, ლარინგოსკოპი.

13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:

- ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა

14. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	**პაციენტის მართვაში მონაწილეობა**	**იცის:** • საექთნო ანამნეზის შეგროვების წესი • პროცედურა/მანიპულაციის ჩატარების წესები • პროცედურა/მანიპულაციის თანამიმდევრობა • პროცედურა/მანიპულაციის ჩატარებისათვის საჭირო მასალა • ინვენტარის დასახელება და დანიშნულება • ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის პრინციპები • ფსიქო-ემოციური მდგომარეობის განსაზღვრის წესი • საკუთარი და პაციენტის უსაფრთხოების წესი/ პროცედურა მანიპულაციების ჩატარებისას	**შეუძლია:** • პაციენტის პროცედურა/ მანიპულაციის იდენტიფიცირება • პროცედურა/მანიპულაციების ჩატარება • საექთნო ანამნეზის შეგროვება • პაციენტის ანთროპომეტრული და ვიტალური ფუნქციების მაჩვენებლების განსაზღვრა • პროცედურა/მანიპულაციის ჩატარება • პროცედურა მანიპულაციისათვის საჭირო მასალის შერჩევა • ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის პრინციპების დაცვა • პაციენტის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა • ინფორმაციის მიწოდება

		• საქთნო ჩარევის მონიტორინგის წესი • შეფასების შედეგების დოკუმენტირების წესი	სპეციალისტებისათვის • შეფასების შედეგების დოკუმენტირება • მოვლის გეგმის შემუშავება
2.	**მშობიარობის მართვაში მონაწილეობა**	**იცის:** • ნაყოფის პოზიციები • გარეგანი გასინჯვის წესი • პარტოგრამაში მონაცემების გაფორმების წესი • სამშობიარო მოქმედების დაწყების ნიშნები • სწორი პოზიციის მნიშვნელობა მშობიარობის დროს • სანაყოფე წყლების დაღვრის დრო • სანაყოფე წყლების რაოდენობა და შეფერილობა • მშობიარობის ბიომექანიზმები • ნაყოფის მახასიათებლები პარამეტრების იდენტიფიცირების პრინციპები • ჭინთვების მექანიზმისა და რეგულაციის მნიშვნელობა • ჭინთვების რეგულაციის წესი სუნთქვითი ვარჯიშებით • ნაყოფის წინამდებარე ნაწილის წინმსვლელობის პროცესი • ნაყოფის თავის ნაადრევი გაშლის გართულებები • ნაყოფის თავის ნაადრევი გაშლის პროფილაქტიკის წესი • შორისის მოსალოდნელი ჩახევის სიმპტომები • ეპიზიოტომიისა და პერინეოტომიის რაობა და ჩვენებები • ეპიზიოტომიისა და პერინეოტომიის ოპერაციის ჩატარების ტექნიკა • ნაყოფის თავისა და მხრის სარტყლის განთავისუფლების ტექნიკა • დროული და ნაადრევი ახალშობილის მახასიათებლები • ახალშობილის სიმწიფის ხარისხი • ჭიპლარის დამუშავების მეთოდები • თვალის დამუშავების წესი • სასუნთქი გზების ლორწოვანისაგან გათავისუფლების წესი • გარეგანი მასაჟის გაკეთების ტექნიკა • პლაცენტის მთლიანობის	**შეუძლია:** • ნაყოფის პოზიციის დადგენა • პარტოგრამის გაფორმება • ნაყოფის მახასიათებლების და პარამეტრების იდენტიფიცირება • ადგილის და დროის შერჩევა ნაყოფის გულისცემის მოსასმენად • მშობიარეს ჭინთვების რეგულაცია სუნთქვითი ვარჯიშებით • ინფორმაციის აღრიცხვა პარტოგრამაში • ნაყოფის თავის ნაადრევი გაშლის პროფილაქტიკა • შორისის ჩახევის რისკების პროფილაკტიკა • ხელდახმარების წარმართვა • მხრის სარტყელის განთავისუფლება მშობიარეზე • ახალშობილის თვალის დამუშავება • სასუნთქი გზების ლორწოვანისაგან განთავისუფლება • საშვილოსნოს ფუძის მდებარეობის განსაზღვრა • პლაცენტის მთლიანობის შეფასება • კათეტერის ჩადგმა • მომყოლის მიღების აქტიური მეთოდები • დაკარგული სისხლის რაოდენობის განსაზღვრა • ხელის ჰიგიენურად დამუშავება • ხელის ქირურგიულად დამუშავება • ხსნარის შესაბამისი კონცენტრაციით დამზადება • უსაფრთხოების წესების დაცვა • ეფექტიანი კომუნიკაცია • მშობიარის დახმარება • კონკრეტულ პირობებში გამოსაყენებელი ხსნარის არჩევა • ხსნარის განზავება საჭიროების მიხედვით • უსაფრთხოების წესების დაცვა • პროცედურისთვის საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის პარამეტრების შეფასება

		შეფასების წესი • შარდის ბუშტის დაცლის მნიშვნელობა • კათეტერის ჩადგმის ტექნიკა • მომყოლის მიღების აქტიური მეთოდები • დაკარგული სისხლის რაოდენობის განსაზღვრის წესი • ხელის ჰიგიენური დაბანის წესი • ხელის ქირურგიული დაბანის წესი • ხელის დაბანის მნიშვნელობა • იარაღებისა და აღჭურვილობების დეკონტამინაციის, დეზინფექცია-სტერილიზაციის წესი • სადეზინფექციო ხსნარის მომზადებისა და გამოყენების წესები • უსაფრთხოების წესები • სხვადასხვა სადეზინფექციო ხსნარის დანიშნულება • მასალის სასტერილიზაციოდ მომზადების წესი	• ნახმარი ინსტრუმენტებისა და დამხმარე მოწყობილობების ჰიგიენური დამუშავება/დეზინფიცირება • საპროცედურო ოთახში ტექნიკური საშუალებების გამართულობის შეფასება • დეზინფექცია-სტერილიზაციის დოკუმენტაციის წარმოება • სასტერილიზაციო დანადგარების გამოყენება
3.	**პათოლოგიურად მიმდინარე ორსულობისა და მშობიარობის მართვაში მონაწილეობა**	**იცის:** • ორსულობის პათოლოგიები • ორსულობის პათოლოგიების მახასიათებლები ტრიმესტრების მიხედვით • ექსტრაგენიტალური პათოლოგიები • პრეეკლამფსია/ეკლამფსიის მიზეზები და ნიშნები • ნაყოფის არასწორი მდებარეობის სახეები • სამშობიარო მოქმედების პათოლოგიები • დედისა და ნაყოფის ტრავმატიზმის სახეები • ტრავმატიზმის პრევენციის ღონისძიებები • მოქმედების წესი დედისა და ნაყოფის ტრავმატიზმის შემთხვევაში • სისხლდენის გამომწვევი მიზეზები • დაკარგული სისხლის განსაზღვრის წესი	**შეუძლია:** • პათოლოგიების შემთხვევაში საჭირო ქმედებების განსაზღვრა • ექიმის დახმარება პათოლოგიის მართვაში • მოსალოდნელი გართულებების განსაზღვრა • ექიმის დახმარება მცირე საოპერაციო მანიპულაციების განხორციელებაში • სისხლდენის მიზეზების განსაზღვრა • დაკარგული სისხლის რაოდენობის განსაზღვრა • დოკუმენტაციის წარმოება • კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან
4.	**ადრეული ლოგინობის ხანის მართვაში მონაწილეობა**	**იცის:** • რბილი ქსოვილების ანატომია • რბილი ქსოვილების აღდგენის პროცედურები	**შეუძლია:** • სამშობიარო გზების მდგომარეობის შეფასება • მონაწილეობის მიღება რბილი ქსოვილის აღდგენაში

		• საშვილოსნოს შეკუმშვის ხარისხი დადაკარგული სისხლის რაოდენობის ნორმა • ძუძუს წოვების ტექნიკა • სითბური ჯაჭვის დამყარების მნიშვნელობა • სითბური ჯაჭვის ხანგრძლივობა • მელოგინის მონიტორინგის წარმოების წესი • სტანდარტი ახალშობილის მოვლის ეტაპების და მონიტორინგის შესახებ • ადრეული ლოგინობის ხანის მახასიათებლები • მშობიარობის შემდეგ საშვილოსნოს ფუძის სიმაღლე • ანთროპომეტრიისათვის საჭირო ინსტრუმენტების გამოყენების წესები • დროული და ნაადრევი ახალშობილის მახასიათებლები • მელოგინის მონიტორინგის წესები • დოკუმენტაციის შევსების წესი • სასიცოცხლო ფუნქციების მახასიათებლები	• საშვილოსნოს შეკუმშვის მონიტორინგი • საშვილოსნოს შეკუმშვის ხარისხისა და სისხლის დანაკარგის შეფასება • ადრეული ლოგინობის ხანის მახასიათებლების შეფასება • მელოგინეს მონიტორინგი • მელოგინეს მოვლა • ახალშობილის მოვლის ეტაპების თანმიმდევრულად განხორციელება • ახალშობილის მეთვალყურეობა • დაკარგული სისხლის რაოდენობის შეფასება • ახალშობილის და მელოგინეს მომზადება შესაბამის განყოფილებაში გადასაყვანად • კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან
5.	**მოვლა ლოგინობის ხანაში**	**იცის:** • საშვილოსნოს ინვოლუციის ეტაპები • ლოქიების მახასიათებლები და რაოდენობა • ძუძუს წოვების ტექნიკა • მოვლითი ღონისძიებები • სარძევე ჯირკვლის ფუნქცია • გართულებები ლაქტაციის პერიოდში • ლაქტაციის პერიოდში სარძევე ჯირკვლის გართულებების გარეგანი მახასიათებლები • გართულებების გამომწვევი მიზეზები • ლაქტაციის პერიოდში მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების გზები • ლოგინობის ხანის თანდართული ინფექციები • ინფექციების პროცესის განვითარების ნიშნები • შორისზე არსებული ნაკერების მოვლის პრინციპები • ჰიგიენური ნორმები	**შეუძლია:** • ლოქიების მახასიათებლების და რაოდენობის შეფასება • მოვლითი ღონისძიებების განხორციელება • ახალშობილის პირველი ტუალეტის ჩატარება • ლაქტაციის გართულების საშიშროების ამოცნობა • სარძევე ჯირკვლის მონიტორინგი • პრევენციული ზომების გატარება • ინფექციების პროცესის განვითარების ნიშნების ამოცნობა • ჰიგიენური ნორმების დაცვა • პაციენტის პრივატულობის დაცვა • კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან • დოკუმენტაციის წარმოება

		• ახალშობილის პირველი ტუალეტის ჩატარების წესი	
6.	**ანტენატალური მოვლა**	**იცის:** • ორსულობის ანატომია და ფიზიოლოგია • თითოეული ვიზიტის დროს გასაწევი სამედიცინო მომსახურება • პათოლოგიური ორსულობის ნიშნები • პათოლოგიური ორსულისათვისათვის დახმარების შესაძლო პროცედურები • სამედიცინო იარაღების და სამედიცინო ინვენტარის დანიშნულება • დამატებითი მეთვალყურეობის და პროცედურების ჩატარების მნიშვნელობა	**შეუძლია:** • პრობლემის იდენტიფიცირება • მოვლის ეტაპების/მიზნების განსაზღვრა • აუცილებელი ვიზიტების ოდენობის, სიხშირის და პერიოდის განსაზღვრა • ეფექტური კომუნიკაცია ორსულთან და მისი ოჯახის წევრებთან • ექიმის მიერ დანიშნული გამოკვლევების განხორციელება • ორსულობის პათოლოგიის გამოვლენაზე დაკვირვება • ექიმის დანიშნულების განხორციელება • საექთნო ჩარევაზე პაციენტის რეაგირების განსაზღვრა
7.	**პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა**	**იცის:** • უახლესი პროფესიული ტექნოლოგიების მოძიების წესი • საკუთრი ცოდნის, კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმები • სამოქმედო გეგმის შედგენის წესი • პროფესიული ლიტერატურის, ინტერნეტრესურსების, პროფესიული გაერთიანებების აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოპოვების წესი • კონფერენციების, სემინარების, ტრენინგ-კურსების შესახებ ინფორმაციის მოპოვების წესი	**შეუძლია:** • უახლესი პროფესიული ტექნოლოგიების მოძიება • უახლესი ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა • საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციების შეფასება • მუშაობა საკუთარ თავზე პროფესიული განვითარების მიმართულებით • პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმის შედგენა • პროფესიული ლიტერატურის, ინტერნეტრესურსების, პროფესიული გაერთიანებების აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება • მონაწილეობა პროფესიული განვითარების სხვადასხვა ღონისძიებებში

15. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	ნინო ეგუტიძე	სს „ჩაჩავას კლინიკა“, ბებიაქალი
2	კლარა ბერაია	შპს „დავით გაგუას კლინიკა“, მთავარი ბებიაქალი
3	ვენერა (მერი) კვენიაშვილი	შპს „შარაშიძის სამედიცინო ცენტრი“ (სამშობიარო სახლი №1), მთავარი ბებიაქალი
4	ეთერ ტიტვნიძე	საპატრიარქოს კლინიკა, ბებიაქალი
5	ელენე გოგსაძე	შპს „შალვა (დავით) ქორიძის სახელობის სამშობიარო სახლი“, ბებიაქალი
6	ნინო გავაშელიშვილი	შპს „არქიმედეს“ კლინიკა, ბებიაქალი
7	აიდა აბელიანი	შპს „ახალი სამშობიარო ცენტრი“, ბებიაქალი
8	ნონა გოიაშვილი	სს „რუსთავის სამშობიარო სახლი“, ბებიაქალი
9	მანანა ხვედიაშვილი	შპს „ახალი სიცოცხლე“, მთავარი ბებიაქალი
10	ნათია ნოღაიდელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რეგულირების სამმართველო, მთავარი სპეციალისტი
11	იანინა გიგიბერია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ - ფასილიტატორი
12	ნინო დავითაშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ - ფასილიტატორი

პროფესიის დასახელება: მეან-ექთანი

შეფასების სტანდარტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებს და ამოცანებში;
2.შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნას და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4.გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

ნაწილი 2. შესაფასებელი კომპეტენციები და შეფასების კრიტერიუმები

პროფესიული მოვალეობა	**პროფესიული ამოცანა**	**შეფასების კრიტერიუმები**	**კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები**
1.პაციენტის მართვაში მონაწილეობა	1.1. ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას	1.1.1.ზუსტად აღწერს პაციენტის საექთნო **ანამნეზის** შეგროვების წესს 1.1.2.წესების დაცვით აგროვებს ანამნეზს არსებული დოკუმენტაციის, პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისგამოკითხვის საფუძველზე 1.1.3.ზუსტად აღწერს **ანთროპომეტრული**ი ფუნქციების მონაცემების შეგროვების ტექნიკას, საჭირო რესურს და დოკუმენტირების წესს 1.1.4.შესაბამისი ტექნიკის/ საჭირო რესურსების გამოყენებით აგროვებს პაციენტის **ანთროპომეტრული/ვიტალური** ფუნქციების მონაცემებს 1.1.5.ანატომია- ფიზიოლოგიის საფუძვლების გამოყენებით აფასებს პაციენტის ფიზიკურ მდგომარეობას 1.1.6.პაციენტის საექთნო შეფასების საფუძველზე განმარტავს არსებულ/ მოსალოდნელ პრობლემებს და მათ გამომწვევ/ ხელშემწყობ ფაქტორებს 1.1.7.დავალებაში აღწერილი	**ანამნეზი-** ინფორმაციაპაციენტისშესახებ,საპასპორტომონაცემები, ექიმისდიაგნოზი, სუბიექტურიდაობიექტურიჩივილები. **ანთროპომეტრული-** სიმაღლე გარშემოწერილობა წონა **ვიტალური (სასიცოცხლო) -** სუნთქვა, პულსი, წნევა, ტემპერატურა, სატურაცია.

პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები	კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები
		სიტუაციის გათვალისწინებით ალაგებსპრობლემებს პრიორიტეტების მიხედვით 1.1.8.პრობლემების სირთულის მიხედვით განსაზღვრავს საკუთარ აქტივობას	
	1.2. გეგმავს საექთნო ჩარევებს	1.2.1.დავალების შესაბამისად განსაზღვრავს ექიმის დანიშნულების სწორი და სწრაფი შესრულების გზებს 1.2.2.დავალების შესაბამისად აღწერს საექთნო მოვლის ეტაპებს/მიზნებს და აუცილებელ რესურსს 1.2.3.პაციენტის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოყოფს პრიორიტეტებს 1.2.4.დავალების შესაბამისად განსაზღვრავს საექთნო ჩარევების კატეგორიებს 1.2.5.არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ადგენს საექთნო ჩრევების განხორციელების გეგმას	
	1.3.განახორციელებს საექთნო ჩარევებს	1.3.1. დავალების შესაბამისად აღწერს სამკურნალო დიაგნოსტიკური კვლევის და მანიპულაციის დროს პაციენტის კომფორტის შექმნის გზებს 1.3.2.სწორად აღწერს **პროცედურა/მანიპულაციის** ჩატარებისას, საკუთარი და პაციენტის უსაფრთხოების წესებს 1.3.3.ჰიგიენური ნორმების დაცვით ახდენს ექიმის მიერ დანიშნული პროცედურა/მანიპულაციის დემონსტრირებას 1.3.4.სწორად განმარტავს საექთნო ჩარევის გავლენას პაციენტის მდგომარეობაზე 1.3.5.ახალი პრობლემების გამოვლენისას დროულად რეაგირებს პაციენტის მდგომარეობაზე 1.3.6.წესების დაცვით აღწერსპაციენტის	**პროცედურა/ მანიპულაცია-** ინექციები,შარდისბუშტისკ ათეტერიზაცია, ჭრილობისდამუშავება, ოყნა, სხვადასხასახისსტომა, დესმურგია. ნაზოგასტრალურიზონდი რება, ტრაქეისსანაცია,

პროფესიული მოვალეობა	**პროფესიული ამოცანა**	**შეფასების კრიტერიუმები**	**კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები**
		მდგომარეობის შესაძლო გართულებებს 1.3.7.წესების დაცვით არჩევს საექთნო მოვლისას სამკურნალო წამლებს მათი შენახვის/გამოყენების წესების, ორგანიზმზე ზემოქმედების და გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით	
	1.4.მონიტორინგს უწევს საექთნო ჩარევების შედეგებს	1.4.1. არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე განსაზღვრავს პაციენტის რეაგირებას საექთნო ჩარევაზე 1.4.2. არგუმენტირებულად ასაბუთებს პაციენტის პრობლემებზე დროული რეაგირების მნიშვნელობას 1.4.3. პროტოკოლის მიხედვით განახორციელებს მელოგინის მონიტორინგსა და მოვლას 1.4.4. წესის დაცვით უწევს მონიტორინგს საშვილოს ნის შეკუმშვისპროცესს 1.4.5.სწორად აფასებს რბილი სამშობიარო გზების მდგომარეობას	
	1.5.შეიმუშვებს მოვლის გეგმას	1.5.1. არსებული მდგომარეობის საფუძველზეშეიმუშავებს სამომავლო საექთნო მოვლის გეგმას **სხვადასხვა სისტემების** დაავადებების დროს: 1.5.2.არსებული მდგომარეობის საფუძველზეშეიმუშავებს სამომავლო საექთნო მოვლის გეგმას **ფსიქიური დაავადების** დროს 1.5.3. არსებულიმდგომარეობის საფუძველზე შეიმუშავებს სამომავლო საექთნო მოვლის გეგმას **დერმატოლოგიური** დაავადების დროს 1.5.4.არსებული მდგომარეობის საფუძველზეშეიმუშავებს სამომავლო საექთნო მოვლის გეგმას **ინფექციური დაავადების დროს** 1.5.5.არსებული მდგომარეობის საფუძველზე შეიმუშავებს სამომავლო საექთნო მოვლის გეგმას ონკოლოგიური	**სხვადასხვა სისტემების დაავადებები-** სასუნთქი სისტემა, გულსისხლძარღვთა სისტემა, საჭმლის მომნელებელი სისტემა, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა, შარდ-სასქესო სისტემა. **ფსიქიური დაავადებები** - აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, ემოციის, ცნობიერების პათოლოგიები, შიზოფრენია, მანიაკალური დეპრესია, ნევროზები, ფობიები, ალცჰაიმერი გონებრივი ჩამორჩენა. **დერმატოლოგიური დაავადებები** -დერმატიტი,

პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები	კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები
		დაავადების დროს 1.5.6.არსებული მდგომარეობის საფუძველზეშეიმუშავებს სამომავლო საექთნო მოვლის გეგმას **თავ-კისრის დაავადებები** 1.5.7.არსებული მდგომარეობის საფუძველზე შეიმუშავებს სამომავლო საექთნო მოვლის გეგმას **ენდოკრინოლოგიური** დაავადებების დროს	ეგზემა, მუნი,ფურუნკული, კარბუნკული,ფსორიაზი. **ინფექციური დაავადებები -** ნაწლავებისინფექციები,სასუნთქიგზებისინფექციები,სისხლისინფექციები,კანისინფექციები. **თავ-კისრის დაავადებები -** თვალისდაავადებები, ყელ-ყურ-ცხვირისდაავადებები **ენდოკრინოლოგიური დაავადებები-** დიაბეტი,ფარსებრიჯირკვლისდაავადებები.
	1.6.ახდენს შეფასების შედეგების დოკუმენტირებას	1.6.1. წესის მიხედვით აფორმებს მონაცემებს პარტოგრამაში 1.6.2. სწორად აღწერს საექთნო შეფასების შედეგების ფორმულირება/ დოკუმენტირების წესებს 1.6.3. წესების შესაბამისად ახდენს საექთნოშეფასების შედეგების დოკუმენტირებას შესაბამისი სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენებით 1.6.4. სამედიცინო ტერმონოლოგიის გამოყენებით აწარმოებს მოვლისდოკუმენტაციას 1.6.5. ჩატარებულიმანიპულაციების მსვლელობისა და შედეგების გათვალისწინებით ავსებს საჭირო დოკუმენტაციას	
	1.7.ამყარებს კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან	1.7.1.სამედიცინო ტერმინოლოგიის და ეთიკის წესების დაცვით აწვდის **ინფორმაციას** სპეციალისტებს და **არასპეციალისტებს** პაციენტის შესახებ 1.7.2.**რეკომენდაციების** გათვალისწინებით აწარმოებს პროფესიულ კომუნიკაციას 1.7.3.არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ზუსტად აღწერს სათანადო პირისთვის ინფორმაციის მიწოდების გზებს დაბრკოლების, ცდომილებისა და ნებისმიერი	**არასპეციალისტი:** პაციენტის,მისი ოჯახის წევრები,მეურვე **რეკომენდაციები:** თანამედროვე სამედიცინო ეთიკის/დეონტოლოგიის პრინციპები/ნორმები **ინფორმაცია :** ახალშობილზე,ორსულთა პათოლოგიებზე გინეკოლოგიური პაციენტის პრობლემა,

პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები	კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები
		გართულების შესახებ 1.7.4.დავალების შესაბამისად აწვდის ზეპირ და წერილობით ინფორმაციას ჰიგიენის შესახებ სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს	მოვლის შედეგებზე, მშობიარობის მიმდინარეობაზე.
2.მშობიარობის მართვაში მონაწილეობა	2.1. მონაწილეობს მშობიარობის პირველი პერიოდის მართვაში	2.1.1. სწორად ადგენს ნაყოფის პოზიციას გარეგანი გასინჯვით 2.1.2.სწორად აღწერს **სამშობიარო მოქმედების** დაწყების ნიშნებს და მიმდინარეობას 2.1.3.სწორად განმარტავს პოზიციის მნიშვნელობას მშობიარობის დროს 2.1.4.სწორად აღწერს სანაყოფე წყლების **დაღვრის დროს ,** რაოდენობას **და შეფერილობას**	**სამშობიარომოქმედება-** საშვილოსნოსკუმშვები (ინტენსივობა,სიძლიერე, რითმულობა, პაუზა) **სანაყოფე წყლების დრო -** ნაადრევი **შეფერილობა:**სუფთა, ჭუჭყიანი
	2.2. მონაწილეობს მშობიარობის მეორე პერიოდის მართვაში	2.2.1.ნაყოფის მდებარეობის გათვალისწინებით აღწერს მშობიარობის ბიომექანიზმებს 2.2.2.სწორად განმარტავსნაყოფის **მახასიათებლების /პარამეტრების** იდენტიფიცირების პრინციპებს 2.2.3.სწორად განმარტავს ჭინთვების მექანიზმსა და რეგულაციის მნიშვნელობას 2.2.4. წესის მიხედვით ირჩევს ადგილს და დროს ნაყოფის გულისცემის მოსასმენად 2.2.5.სტანდარტისმიხედვით ასწავლის მშობიარეს ჭინთვების რეგულაციას სუნთქვითი ვარჯიშებით 2.2.6. სწორად აღწერს ნაყოფის წინამდებარე ნაწილის წინმსვლელობის პროცესს 2.2.7. მშობიარობის მომენტების გათვალისწინებით აღწერს ნაყოფის თავისა და მხრის სარტყლის განთავისუფლების ტექნიკას 2.2.8.წესის შესაბამისად წარმართავს ხელდახმარებას	**მახასიათებლების /პარამეტრები:** ისრისებური ნაკერი, დიდი და მცირე ყიფლიბანდი, საფიქსაციო წერტილი.

პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები	კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები
		2.2.9. წესის მიხედვით აწარმოებს მხრის სარტყელის განთავისუფლებას მშობიარეზე 2.2.10.ზუსტად ჩამოთვლის დროული და ნაადრევი ახალშობილის მახასიათებლებს 2.2.11.გესტაციის შესაბამისად განსაზღვრავს ახალშობილის სიმწიფის ხარისხს 2.2.12.პროტოკოლის მიხედვით აღწერს ჭიპლარის დამუშავების მეთოდებს 2.2.13.ბლეფაროპროფილაქტიკის მეთოდით და პროტოკოლის მიხედვით ახდენს თვალის დამუშავებას 2.2.15.პროტოკოლის მიხედვით ახდენს სასუნთქი გზების ლორწოვანისაგან განთავისუფლებას	
	2.3. მონაწილეობს მშობიარობის მესამე პერიოდის მართვაში	2.3.1. ზუსტად განსაზღვრავსსაშვილოსნოსფუძის მდებარეობას, გარეგანი მასაჟის განხორციელების აუცილებლობასა და გაკეთების ტექნიკას 2.3.2.წესის მიხედვით ახდენს პლაცენტის მთლიანობის შეფასებას 2.3.3.სწორად განმარტავს შარდის ბუშტის დაცლის მნიშვნელობას 2.3.4.პროტოკოლის მიხედვით აწარმოებს კათეტერის ჩადგმას 2.3.5.ზუსტად აღწერს მომყოლის მიღების აქტიურ მეთოდებს 2.3.6.სწორად განმარტავს დაკარგული სისხლის რაოდენობის განსაზღვრის წესს 2.3.7. წესის მიხედვით ადგენს დაკარგული სისხლის რაოდენობას	

პროფესიული მოვალეობა	**პროფესიული ამოცანა**	**შეფასების კრიტერიუმები**	**კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები**
	2.4. იცავს ასეპტიკასა და ანტისეპტიკას	2.4.1.ჰიგიენური **სტანდარტის** შესაბამისად სწორად ჩამოთვლის ზოგადი ჰიგიენისა და გარემოს დაცვის საკითხებს 2. 4.2.სწორად აღწერს ასეპტიკისა და ანტისეპტიკის საკითხებს სტანდარტის შესამაბისად 2.4.3.სწორად აღწერს პაციენტის, პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების ჰიგიენის მოთხოვნებს ჰიგიენური სტანდარტების შესაბამისად 2.4.4.სწორად აფასებს ჰიგიენის მნიშვნელობას პაციენტის გამოჯანმრთელებაში 2.4.5.სწორად ჩამოთვლის სამუშაო გარემოს მოწყობის ნორმებს**სტანდარტის** შესაბამისად 2.4.6.სწორად აფასებს პროცედურისთვის საჭირო **მასალების და აღჭურვილობის პარამეტრებს**სტანდარტის შესაბამისად 2.4.7. სტანდარტის შესაბამისად იცავს ნახმარი ინსტრუმენტებისა და დამხმარე მოწყობილობების ჰიგიენურ დამუშავებისა და დეზინფიცირების წესებს 2.4.8.სწორად აფასებს საპროცედურო ოთახში ტექნიკურ საშუალებების გამართულობასუსაფრთხოების წესების დაცვით 2.4.9.**სტანდარტის** შესაბამისად იცავს **პირადი ჰიგიენას** პროცედურის ჩატარების წინ 2.4.10.სანიტარულინორმებისდაცვით იმუშავებს ხელებს	**სტანდარტი**: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №233/ნ 2003 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი (სხვადასხვა სიმძლავრის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ, შენობისვენტილაციის, ტემპერატურის,წყალმომარაგებისდაკანალიზაციისტექნიკურიმდგომარეობისადა შენახვისმოთხოვნები); სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება №70 2002 წლის 15 აპრილიქ. თბილისი. **მასალების და აღჭურვილობის პარამეტრები**: მასალების ვადები, ვარგისიანობა, პაციენტის ინდივიდუალური მგძნობელობა **პირადი ჰიგიენა:** შესაბამისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ფრჩხილების, სხეულისა და თმების ჰიგიენა, პირის ღრუს ჰიგიენა.
3.პათოლოგიურად მიმდინარე ორსულობისა და	3.1. ადგენს პათოლოგიურ ორსულობას	3.1.1.სწორად განმარტავს **ორსულობის პათოლოგიებს** და მათ მახასიათებლებს ტრიმესტრებისმიხედვით 3.1.2.სწორად განმარტავს	**ორსულობის პათოლოგიებს-** მაღალი წნევა, შეშუპება, ცილის შემცველობა შარდში;

პროფესიული მოვალეობა	**პროფესიული ამოცანა**	**შეფასების კრიტერიუმები**	**კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები**
მშობიარობის მართვაში მონაწილეობა		ექსტრაგენიტალურ პათოლოგიებს 3.1.3.სწორად განმარტავს პრეეკლამფსია/ეკლამფსიისმიზეზებსდა ნიშნებს 3.1.4.დავალების შესაბამისად განსაზღვრავს საჭირო ქმედებებს პათოლოგიების (პრეეკლამფსია/ეკლამფსიის)შემთხვევაში 3.1.5.წესების დაცვით ეხმარება ექიმს პათოლოგიის მართვაში 3.1.6.სწორად ჩამოთვლის**პათოლოგიური** ორსულობის ნიშნებს 3.1.7. დავალების შესაბამისად ახორციელებს ექიმის მიერ დანიშნულ **გამოკვლევებს** 3.1.8.გამოკვლევების შედეგების საფუძველზე გამოავლენს ორსულობის **პათოლოგიას**	მოსალოდნელი თვითნებითი აბორტები, ტოქსიკოზი მოსალოდნელი გვიანი აბორტი, ცისტიტი, პიელონეფრიტი, მოსალოდნელი ნაადრევი მშობიარობა, ჰელფსინდრომი.
	3.2. ადგენს ნაყოფის არასწორ მდებარეობას	3.2.1.არსებული კლასიფიკაციის საფუძველზეაღწერს ნაყოფის **არასწორი მდებარეობის** სახეებს 3.2.2.დავალების შესაბამისად განსაზღვრავსმოსალოდნელ გართულებებს 3.2.3. დავალების შესაბამისად აღწერს გამოვლენილი პრობლემის გადაჭრის გზებს	**არასწორი მდებარეობა -** გარდიგარდმო მდებარეობა, ირიბი მდებარეობა, ჯდომი.
	3.3. მართავს სამშობიარო მოქმედებების პათოლოგიებს ექიმთან ერთად	3.3.1.სწორად ჩამოთვლის **სამშობიარომოქმედების პათოლოგიებს** 3.3.2.დავალების შესაბამისად აღწერს პათოლოგიების დროს საჭირო ქმედებებს 3.3.3.დავალების შესაბამისად ეხმარება ექიმს სამშობიარო მოქმედების პათოლოგიის მართვაში	**სამშობიარო მოქმედების პათოლოგიები:** ნაყოფის განვითრების ანომალია, წვრილი ნაწილების (ჭიპლარი, ხელი, ფეხი) გამოვარდნა, ნაყოფის გაშლითი წინმდებარეობა,ნაყოფის არასწორი დგომა, ნაყოფის ჰიპოქსია, ჯდომით წინმდებარეობა, მრავალწყლიანობა, მცირე წყლიანობა.

პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები	კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები
	3.4. უწევს ექიმს სათანადო დახმარებას დედისა და ნაყოფის ტრავმატიზმის შემთხვევაში;	3.4.1. სწორად აღწერს დედისა და ნაყოფის ტრავმატიზმის სახეებს 3.4.2. დავალების შესაბამისად განმარტავს ტრავმატიზმის პრევენციის ღონისძიებებს 3.4.3. დავალების შესაბამისად აღწერს ქმედებებს დედისა და ნაყოფის ტრავმატიზმის შემთხვევაში 3.4.4. წესების დაცვით ეხმარება ექიმს მცირე საოპერაციომანიპულაციების განხორციელებაში	
	3.5. უწევს ექიმს დახმარებას სისხლდნების შემთხვევაში.	3.5.1. ზუსტად განსაზღვრავს სიხლდენის მიზეზებს 3.5.2. წესის მიხედვით განსაზღვრავს დაკარგული სისხლის რაოდენობას 3.5.3. სწორად განმარტავს ქმედებებს სისხლდენების დროს 3.5.4. ჰიგიენური ნორმების დაცვით ეხმარება ექიმს პათოლოგიის მართვაში	
4.ადრეული ლოგინობის ხანის მართვაში მონაწილეობა	4.1. აწარმოებს სამშობიარო გზების ინვოლუციის მონიტორინგს	4.1.1. სწორად ახასიათებს რბილი ქსოვილების ანატომიას 4.1.2. სწორად აფასებს რბილი სამშობიარო გზების მდგომარეობას 4.1.3.თანამიმდევრობით ჩამოთვლის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების დროს განსახორციელებელ პროცედურებს 4.1.4.დავალების შესაბამისად უწევს დახმარებას ექიმს სამშობიარო გზების რბილი ქსოვილების აღდგენაში	
	4.2. განსაზღვრავს საშვილოსნოს კუმშვადობას	4.2.1.სწორად განმარტავს საშვილოსნოს კუმშვადობის მნიშვნელობას 4.2.2.წესის დაცვით უწევს მონიტორინგს საშვილოსნის შეკუმშვის პროცესს 4.2.3.სწორად განმარტავს დამოკიდებულებას დაკარგული სისხლის რაოდენობას და საშვილოსნოს კუმშვადობას შორის	
	4.3. აწარმოებს ადრეული	4.3.1. სწორად აფასებს ადრეული	**მახასიათებლები** - საშვილოსნოს ფუძის

პროფესიული მოვალეობა	**პროფესიული ამოცანა**	**შეფასების კრიტერიუმები**	**კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები**
	ლოგინობის ხანის მონიტორინგს	ლოგინობის ხანის **მახასიათებლებს** 4.3.2.წესის მიხედვით განმარტავს ახალშობილისა და მელოგინის მონიტორინგის პრინციპებს 4.3.3. პროტოკოლის მიხედვით განახორციელებს მელოგინის მონიტორინგსა და მოვლას 4.3.4. სწორად განმარტავს ძუძუთი კვების მნიშვნელობას 4.3.5.სწორად აღწერს ძუძუს წოვების ტექნიკას 4.3.6.სწორადგანმარტავსდედასა და ახალშობილს შორის**სითბურიჯაჭვის** დამყარების მნიშვნელობას	სიმაღლლე, გამონადენი **სითბური ჯაჭვი**: კანი-კანთან კონტაქტი
	4.4. აწარმოებს სისხლის დანაკარგის და სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგს	4.4.1.სწორად აღწერს **სასიცოცხლო ფუნქციების** მახასიათებლებს 4.4.2.წესისმიხედვითითვლის/აფასებს დაკარგული სისხლის რაოდენობას 4.4.3.არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ამზადებს ახალშობილს და მელოგინეს შესაბამის განყოფილებაში გადასაყავანად	**სასიცოცხლო ფუნქციები:** სუნთქვა, პულსი, წნევა, ტემპერატურა, კანისა და ხილული ლორწოვანის ფერი, სატურაცია
5. მოვლა ლოგინობის ხანაში	5.1.მართავს ლოგინობის პირველ პერიოდს	5.1.1.საშვილოსნოს ფსკერის მდებარეობის მიხედვით განსაზღვრავს საშვილოსნოს ინვოლუციის ეტაპებს 5.1.2.წესის მიხედვით აფასებს ლოქიების მახასიათებლებს და რაოდენობას 5.1.3.არსებული წესის მიხედვით განუმარტავს მელოგინეს ძუძუს წოვების ტექნიკას 5.1.4. მდგომარეობის შესაბამისად ახორციელებს მელოგინის მოვლით ღონისძიებებს	**მოვლით ღონისძიებები:** ჰიგიენური, პრევენციული.

პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები	კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები
	5.2. აფასებს სარძევე ჯირკვლის ფუნქციას	5.2.1.სწორად განმარტავს სარძევე ჯირკვლის ფუნქციას 5.2.2.დავალების შესაბამისად აყალიბებს ლაქტაციის პერიოდში შესაძლო გართულებებს 5.2.3.ზუსტად აღწერს ლაქტაციის პერიოდში სარძევე ჯირკვლის გართულებების გარეგან მახასიათებლებს	
	5.3. ახდენს ლაქტაციის გართულებების პრევენციას	5.3.1.სარძევე ჯირკვლის მონიტორინგის საფუძველზე ამოიცნობს ლაქტაციის გართულების საშიშროებას 5.3.2.სწორად განმარტავს გართულებების გამომწვევ მიზეზებს 5.3.3.ზუსტად განსაზღვრავს ლაქტაციის პერიოდში მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების გზებს/ქმედებებს 5.3.4.სიტუაციისშესაბამისად ღებულობს პრევენციულ ზომებს	
	5.4. ახდენს მოსალოდნელი ინფექციებისპრევენციას	5.4.1.სწორად ჩამოთვლის **ლოგინობის ხანის თანდართულ ინფექციებს** 5.4.2.ზუსტად აღწერს ინფექციების პროცესის განვითარების ნიშნებს 5.4.3.ინფექციის თავიდან აცილების მიზნით განმარტავს შორისზე არსებული ნაკერების მოვლის პრინციპებს 5.4.4.ჰიგიენური ნორმების დაცვით ამუშავებს შორისზე არსებულ ნაკერებს	**ლოგინობის ხანის თანდართულ ინფექციები :** სისხლდენები, ენდომეტრიტი, მასტიტი, საშარდე გზების ინფექციები
6.ანტენატალური მოვლა	6.1.მეთვალყურეობას უწევს ქალს ფიზიოლოგიურ ორსულობის დროს	6.1.1.სწორად განმარტავს ორსულობის ანატომიას და ფიზიოლოგიას 6.1.2.ორსულობის მიმდინარეობიდან გამომდინარე აღწერს აუცილებელი ვიზიტების ოდენობას, სიხშირეს და პერიოდს 6.1.3.ორსულობის პერიოდის მიმდინარეობის გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეული ვიზიტის დროს გასაწევ სამედიცინო მომსახურებას	
	6.2. უწევს ფსიქოლოგიურ თანადგომას	6.2.1.სწორად განმარტავს ეფექტური კომუნიკაციის როლს ორსულთან და მისი ოჯახის წევრებთან მიმართებაში	

პროფესიული მოვალეობა	**პროფესიული ამოცანა**	**შეფასების კრიტერიუმები**	**კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები**
	ორსულსა და მისი ოჯახის წევრებს	6.2.2. დამაჯერებლად ასაბუთებს კონსულტირების აუცილებლობას 6.2.3. ეთიკის ნორმების დაცვით აწვდის ინფორმაციას ორსულს და მისი ოჯახის წევრებს	
	6.3. დროულად გამოავლენს ორსულთა პათოლოგიებს	6.3.1.სწორად ჩამოთვლის **პათოლოგიური** ორსულობის ნიშნებს 6.3.2.დავალების შესაბამისად ახორციელებს ექიმის მიერ დანიშნულ **გამოკვლევებს** 6.3.3.გამოკვლევების შედეგების საფუძველზე გამოავლენს ორსულობის **პათოლოგიას**	**პათოლოგიები:** მაღალი წნევა, შეშუპება, ცილის შემცველობა შარდში. **გამოკვლევა** ნაცხის აღება, პერიფერიული სისხლის აღება ვენიდან,სისხლის აღება კაპილარიდან.
	6.4. მართვს ორსულთა პათოლოგიებს ექიმთან ერთად	6.4.1.სწორად აღწერს პათოლოგიური ორსულისათვის დახმარების შესაძლომეთოდებს/პროცედურებს 6.4.2.ორსულობის მიმდინარეობის მიხედვით განსაზღვრავს დამატებითი მეთვალყურეობის და პროცედურების ჩატარების მნიშვნელობას 6.4.3.სწორად განმარტავს **სამედიცინო იარაღების** და სამედიცინო ინვენტარის დანიშნულებას 6.4.4.დავალების შესაბამისად ახორციელებს ექიმის დანიშნულებას	**სამედიცინო იარაღები და ინვენტარი:** ჟანგბადის წყარო, ფუნქციური საწოლი, ელექტროსაქაჩი, სამანიპულაციო მაგიდა სტერილური იარაღებისათვის, შტატივი, ზონდი, ბლაგვი კოვი, ზედა და ქვედა სარკეები, ფანჯრიანი დამჭერი, პინცეტი ქირურგიული, ანატომიური პინცეტი, ნემსაჭერი, კოხერი, მაკრატელი, ვაკუუმის ხუფი, სამშობიარო მაშა, კორცანგი, პულოვკის მაშა, თირკმლისებური თასი, ფოლეის კათეტერი, შარდის მიმღები, ვენის კათეტერი სხვადასხვა ზომის, გადასხმის სისტემა, ბიქსი.
	6.5. ახდენს წყვილების კონსულტირებას ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით	6.5.1. არგუმენტირებულად ასაბუთებს ოჯახის დაგეგმვის საჭიროებას 6.5.2. დავალების შესბამისად აღწერს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ჩვენება/უკუჩვენება/გვერდითი მოვლენებს	

პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები	კომპეტენციების პარამეტრების ფარგლები
		6.5.3. არგუმენტირებულად განმარტავს აბორტის უარყოფით როლს 6.5.4. ეთიკის ნორმების დაცვით აწვდის ინფორმაციას წყვილებს	
7.პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	7.1. ეცნობა უახლეს პროფესიულ ტექნოლოგიებს	7.1.1. სწორად ახორციელებს ახალი მეთოდიკების ათვისებას სპეციალობასა და მომიჯნავე დარგებში	
	7.2. აფასებს საკუთარ კომპეტენციებს ცოდნასა და უნარებს	7.2.1 . სწორად აფასებს სამუშაოს შესრულების ეფექტურობას	
	7.3. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას	7.3.1 სწორად აფასებს პროფესიული ზრდის აუცილებლობას	
	7.4. ეცნობა პროფესიულ სიახლეებს (პროფესიული ლიტერატურის ანალიზი, ინტერნეტრესურსები, პროფესიული გაერთიანებების აქტივობები და სხვ.)	7.4.1. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით ახდენს დარგობრივი ინფორმაციების მოძიებას ინტერნეტში და ლიტერატურაში	
	7.5. ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, ტრენინგ-კურსები და სხვ.)	7.5.1.სწორად განსაზღვრავს დარგობრივ ახალ ტენდენციებს	

ნაწილი 3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

ა) ფორმალურიგანათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა)
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით

გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

ნაწილი 4. ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) საძიებელი კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად,

ა) დასაშვებია ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია საძიებელ კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის შინაარსობრივი შესწავლის მიზნით ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლებიც/რომელთა ერთობლიობაც შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

ნაწილი 5. მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები შეფასების სტანდარტის ნაწილი 3-ის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

ა). გამოკითხვა

გამოკითხვის ფორმა:

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით
- ტესტი შესაძლოა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს

გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებებიუზრუნველყოფილიაშესაფასებლისმიერმომზადებულიწერილობითინაშრომით, ასევე, შემფასებლისმიერშევსებულიჩანაწერებისფორმებით .

საგამოცდო თემატიკა:

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
  1.ბიოეთიკისა და დეონტოლოგიის, ჰიგიენის და ინფექციის კონტროლი;
  2. ორსულობის და ლოგინობის პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩივილები;
  3.ანატომიურ-ფიზიოლოგიური მახასიათებლების განსაზღვრა;
  4. ფსიქო-ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა;
  5.ბავშვთა ფიზიოლოგიურ-პათოლოგიური პროცესები;
  6. დაავადებების სიმპტომები;
  7.საექთნო მოვლის პრინციპები და საექთნო პროცედურა/ მანიპულაციების პროტოკოლები.

- სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთმოცემული საკითხები და ნწარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ბ). პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება

საგამოცდოგარემო:

შეფასება უნდა განხორციელდეს რეალურსამუშაოგარემოში - პრაქტიკისოთახში ან კლინიკაში;

დავალების შესასრულებლად საჭიროა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა.

საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:

საგამოცდო პრეცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მოპოვებული მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ შესრულებული პრაქტიკული დავალების შედეგის შემფასებლის მიერ შევსებული წერილობითი შეფასების ჩანაწერების სახით, ფოტო, ვიდეო ან აუდიო მასალით.

საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:

1. **დასადასტურებელი კომპეტენციების** შესაბამისად პრაქტიკული დავალებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

   ა) გინეკოლოგიური პაციენტის მოვლა;
   ბ) მეთვალყურეობა ქალის ფიზიოლოგიური ორსულობის დროს, პათოლოგიების გამოვლენა და მართვა;
   გ) ფიზიოლოგიური და პათოლოგიურად მიმდინარე მშობიარობის მართვა;
   დ) მოვლა ლოგინობის ხანაში;
   ე) პაციენტის მოვლის სპეციფიური ღონისძიებების ჩატარება.

2. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლის, სამუშოს შესრულების თანამიმდევრობის და სამუშაოების წარმოებისას შრომის უსაფრთხოების დაცვის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული.

3. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროების შემთხვევაში მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები

4. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 6. მითითებები და რეკომენდაციები ამღიარებელ დაწესებულებაში არსებული შემფასებლისათვის/შემფასებლებისთვის

შეფასებისდაწყებამდეგაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასებისინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

შეფასებისპროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებელისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

შეფასებისდასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

ნაწილი 7. შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

		მტკიცებულებები		
		ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა ------/ არ დადასტურდა ----------

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება: